პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოის ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 155 (10852) ოთხშაბათი 3 ივლისი 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

# პარტიის დიდი ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის

„პრავდის" 2-VII მოწინავე.

ყოველი დღე გვაახლოებს დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის სახელოვან დღესასწაულთან. მსოფლიო-ისტორიულ ზღუდედ აღიმართა ეს თარიღი კაცობრიობის მატიანეში, მოასწავებს ახალი ხანის დაწყებას მის ბედში, მთელი მსოფლიოს მილიონობით უბრალო ადამიანის ცხოვრებაში.

ამ დღეებში ყოველი საბჭოთა ადამიანი გონების თვალს გადაავლებს გზას, რომელიც გავლილია სოციალისტური მშენებლობის წლებში. ძლევდა რა უმაგალითო სიძნელეებს, ანადგურებდა რა მტრების, მავნებლების, პანიკიორების ხრიკებს, კომუნისტთა გმირი პარტია, რომელიც შექმნა და გამოაწრთო რევოლუციის გენიამ, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა, მტკიცედ მიუძღოდა და მიუძღვის ჩვენს ქვეყანას დიდი ოქტომბრის მიერ გაკაფული გზით.

ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა სოციალიზმმა — ახალმა საზოგადოებრივმა წყობილებამ, რომელშიც არ არის არც წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება, არც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. ჩვენი ახალგაზრდობა, როგორც უცნაურობას, განიხილავს თვითმპყრობელობის და კაპიტალისტური მონობის ეპოქის დოკუმენტებსა და ძეგლებს. ძნელად წარმოიდგენს იგი მუშა ადამიანის წარსულ უუფლებობას, მშრომელთა მასების უკულტურობას, უმუშევრობას, სიღატაკეს.

ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარი ის არის, რომ ხალხი პირველად გახდა თავისი ქვეყნის, ყველა მისი სიმდიდრის, ყოველივე იმის ერთადერთი და სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი, რასაც ყოველდღე ქმნის მშრომელი მასების შრომა და ტალანტი. აი ამიტომ ასე მტკიცე რწმენით და გაბედულად, გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, მეცნიერება და კულტურა.

ლენინური გენერალური ხაზის თანმიმდევრული განხორციელების, კომუნისტური პარტიის უდიდესი ორგანიზატორული მუშაობის, სსრ კავშირის ხალხთა მასების თავდადებული შრომის შედეგად სსრ კავშირში შექმნილია პირველხარისხოვანი ინდუსტრია — ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და კეთილდღეობის საფუძველთა საფუძველი.

მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარება შესაძლებელს ხდის წარმატებით განვითარდეს სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგი, საჭირო ტექნიკით შეიარაღდეს სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, რომელიც სახალხო მოხმარების სხვადასხვა საქონელს უშვებს. განა შეეძლო ძველ რუსეთს განეხორციელებინა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გრანდიოზული პროგრამა? ჩვენმა ქვეყანამ კი შეძლო დაეყენებინა და გადაეჭრა ეს ამოცანა. 35,9 მილიონი ჰექტარი ახალი მიწების ასათვისებლად საჭირო იყო მძლავრი ტექნიკა — მრავალი ათასი ტრაქტორი, კომბაინი, სალეწი, ავტომანქანა. და მრეწველობამ მოგვცა ისინი.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, რაც განხორციელდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ახალ შესაძლებლობებს ქმნის წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, მასების შემოქმედებითი აქტივობის განვითარებისათვის.

კომუნისტური საზოგადოება, წერდა მრავალი წლის წინათ ვ. ი. ლენინი, იქმნება „საზოგადოების **ყველა** წევრის **სრული** კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და თავისუფალი **ყოველმხრივი** განვითარებისათვის". ახლა ყოველდღიურ ცხოვრებაში ხორციელდება ეს უკვდავი ლენინური სიმართლე. ყველაფერი, რაც კეთდება საბჭოთა ქვეყანაში, ყველაფერი, რაც შენდება და იქმნება მასში, ამრავლებს რა საბჭოთა კავშირის სიმდიდრესა და ძლიერებას, ამასთან ერთად დღითიდღე ამაღლებს ხალხის მასების ცხოვრების დონეს.

„საბჭოთა ხელისუფლების დროს მუშა კაცი ასჯერ უკეთ ცხოვრობს. ხოლო როცა გული გიხარის, გინდა იმუშაო ახალი ძალით", — ასე უზიარებს თავის აზრებს მკითხველებს გაზეთ „ურალსკი რაბოჩიში" ვერხ-ისეტის ქარხნის შთამომავლობითი მჭედელი-მექვაბე ივანე მაქსიმეს-ძე სკაჩკოვი. იგი 63 წლისაა, სახელმწიფომ უზრუნველყო პენსიით, მაგრამ ჯერ არ ფიქრობს საამქროდან წასვლას, რომელსაც შეეთვისა ათეული წლების მანძილზე. ივანე მაქსიმეს-ძის ოჯახიც მუშურია. ვაჟიშვილი ხარატია, ქალიშვილიც ქარხანაში მუშაობს. „ძველ დროს, — წერს ი. მ. სკაჩკოვი, — მე დიდი ხანია უვარგისი ვიქნებოდი, ქუჩაში გამაგდებდნენ, როგორც ამას სჩადიოდნენ წინათ მექარხნეები მოხუცი მუშების მიმართ... მამაჩემი წელებზე ფეხს იდგამდა, მაგრამ... გროშებს იღებდა.

ჩექმის ფული ვერ იშოვნა, ქალამნით დადიოდა. ჩვენ, მისი შვილები, სანამ ცოლს შევირთავდით, ფეხშიშველა დავრბოდით. მახსოვს, ყველაზე დიდი ოცნება იყო მქონოდა... კალოში". ახლა მუშის ოჯახი უზრუნველყოფილია ყველაფრით. საწარმომ მას კარგი ბინა მისცა. შრომისათვის ოჯახის მეთაურმა ბევრი საპატიო სიგელი მიიღო.

განა შეიძლება რაიმე გამონაკლისად ჩაითვალოს ურალის ქარხნის კადრის მუშის ეს ბედი?

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდამ, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ აღნიშნა, შექმნა ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლების რეალური შესაძლებლობანი. განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ამ ბოლო დროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ. არ არის არც ერთი ოჯახი, რომელსაც არ ეგრძნოს იმ ღონისძიებათა რეალური შედეგები, რომლებიც პარტიამ განახორციელა მთელი ხალხის ინტერესებისათვის. ჩვენში მოქმედებს სახელმწიფო პენსიების ახალი კანონი. ხელფასი გაუდიდდათ დაბალხელფასიან მუშებსა და მოსამსახურეებს. შემცირდა სამუშაო დღე შაბათობით და უქმის წინადღეებში. გაუქმდა სწავლის ქირა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. გაუდიდდათ შვებულება ქალებს ორსულობის გამო. მეექვსე ხუთწლედში ხორციელდება მუშათა და მოსამსახურეთა თანდათანობით გადაყვანა შვიდი საათის სამუშაო დღეზე.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში უდიდესი წვლილი შეაქვთ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს. პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა მეოხებით ბევრად გადიდდა ნათესი ფართობები. წინათ ჩვენს ქვეყანას არასოდეს არ აუღია იმდენი პური, რამდენიც აიღო გასულ წელს. გაიზარდა ბამბის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, კარტოფილის მოსავალი.

საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის განუხრელ ამაღლებას მოწმობენ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ მოწყობილ საბიუჯეტო გამოკვლევათა მასალები. 1956 წელს ომამდელ 1940 წელთან შედარებით მუშის ოჯახებში გაიზარდა, მაგალითად, ქსოვილების ყიდვა საშუალოდ 94 პროცენტით, მათ შორის შალის ქსოვილებისა — თითქმის სამჯერ, ტყავის ფეხსაცმლისა — 83 პროცენტით. კოლმეურნეთა ოჯახებში ერთ ადამიანზე გაანგარიშებით შეძენილია ქსოვილები ორჯერ და უფრო მეტი, მათ შორის შალის ქსოვილები — 3,5-ჯერ მეტი, ტყავის ფეხსაცმელი — 95 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს.

პარტია შეუნელებელი ენერგიით ზრუნავს იმისათვის, რომ უფრო სრულად დააკმაყოფილოს მშრომელთა განუხრელად მზარდი მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე. ხორციელდება ღონისძიებანი, რათა გადიდდეს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება, გაუმჯობესდეს მისი ხარისხი, გაუმჯობესდეს საბჭოთა ვაჭრობის მდგომარეობა.

საბჭოთა ადამიანები ახლა უკეთ იკვებებიან, უკეთ იცვამენ, უფრო კულტურულად ცხოვრობენ. ეს არის შედეგი მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისა, რისთვისაც იბრძვის ჩვენი ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ამას წინათ ჩვენი ქვეყანა დიდი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას რძის დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ. სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა 26 პროცენტით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში.

სოფლის მეურნეობის მიერ მოპოვებულ წარმატებებზე დაყრდნობით პარტიამ დასახა საყოველთაო-სახალხო ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ამ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურა სოფლის მილიონობით მშრომელი, რადგან იგი სავსებით შეესაბამება ყველა მშრომელის სასიცოცხლო ინტერესებს.

ჩვენი პარტიის პოლიტიკა ეკონომიკის განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში ლენინური პოლიტიკაა, რომელიც შეიმუშავა ცენტრალურმა კომიტეტმა ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მთელი პარტიის სრული მხარდაჭერით. თავისი ლენინური პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩვენი პარტია კიდევ უფრო ძლიერი და შემჭიდროებული გახდა. საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებს და უსაზღვროდ უჭერს მხარს პარტიის პოლიტიკას, იგი დარწმუნებულია, რომ ამ პოლიტიკის განხორციელებას მოჰყვება კომუნიზმის ახალი გამარჯვებანი.

საბჭოთა ქვეყანა დიდ პოლიტიკურ და სამეურნეო აღმავლობას განიცდის. მხოლოდ ის ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს კავშირი ცხოვრებასთან, მოწუწუნენი და ურწმუნონი, რომლებიც ვერ ხედავენ ხალხის მასების შემოქმედებითს აღმავლობას, შეიძლება დაეჭვდნენ ჩვენი პარტიის მიერ დასახული გეგმების რეალობაში. მხოლოდ პოლიტიკურ ბრმებსა და სოციალიზმის მტრებს შეუძლიათ უარყონ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის წარმატებანი. კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო დარაზმული ჩვენი ხალხის ძალები ჭეშმარიტად აურაცხელია და შეუძლიათ სასწაულების მოხდენა. ვერავინ ვერ მოახერხა და ვერ მოახერხებს შეარყიოს საბჭოთა ხალხის რწმენა თავისი ძალებისადმი. კომუნისტური პარტია მუდამ იბრძოდა და იბრძვის იმათ წინააღმდეგ, ვინც აბრკოლებს ჩვენს წინსვლას კომუნიზმის მშენებლობის გზით.

ამ ბოლო დროს პარტიამ და მთავრობამ მკვეთრად მოაბრუნეს ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული ორგანიზაციის ყურადღება საბინაო პრობლემის გადაჭრისაკენ. შარშან ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენდა 36 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ახალი სახლები, რაც უდრის ისეთი დიდი ქალაქების მთელ საცხოვრებელ ფართობს, როგორიც არის კიევი, ბაქო, ხარკოვი, გორკი, სვერდლოვსკი და ჩელიაბინსკი ერთად. გარდა ამისა, სოფელ ადგილას აშენდა დაახლოებით 700 ათასი საცხოვრებელი სახლი.

მიმდინარე წელს აშენდება 46 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი ახალი საცხოვრებელი სახლები. ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ეს ციფრი, გავიხსენოთ, რომ რევოლუციამდელ მოსკოვში სულ იყო დაახლოებით 12 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. საბინაო მშენებლობის წარმატებას ხელს უწყობს ხალხის ფართო ინიციატივა. გორკელთა მაგალითისამებრ, ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში მონაწილეობს ათეულ და ასეულ ათასობით მუშა და მოსამსახურე.

საბჭოთა ადამიანები სამართლიანად ამაყობენ კულტურისა და მეცნიერების დარგში მოპოვებული წარმატებებით. ჩვენში შემოღებულია საყოველთაო შვიდწლიანი განათლება და ხორციელდება ღონისძიებანი, რათა მეექვსე ხუთწლედის მანძილზე ქალაქებსა და სოფელ ადგილებში ძირითადად განხორციელდეს საყოველთაო საშუალო განათლება. უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში წარმოებისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლივ სწავლობს 4 მილიონზე მეტი კაცი. საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში თითქმის ორი მილიონი სტუდენტია, ანუ ორჯერ და უფრო მეტი, ვიდრე ევროპის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ერთად. კვალიფიციური კადრების მომზადების გაქანებით სსრ კავშირს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

კომუნისტური პარტიისათვის არ არის იმაზე უფრო მაღალი მიზანი, ვიდრე ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. რა თქმა უნდა, საბჭოთა ადამიანებს ჯერ კიდევ ცოტა სიძნელე როდი აქვთ, პარტია თვალს როდი ხუჭავს და ამ სიძნელეთა შესახებ პირდაპირ და აშკარად ეუბნება ხალხს. ხალხი ხედავს და აფასებს იმას, რომ პარტია მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის სოციალისტური ეკონომიკის, ყველა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელი აღმავლობისათვის. ეს არის იმ დიდი სიყვარულისა და ნდობის წყარო, რომლითაც გამსჭვალულია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი ჩვენი დიადი ლენინური პარტიისადმი.

## მოსკოვიდან გაემგზავრა ბირმის საპარლამენტო დელეგაცია

1 ივლისს დილით მოსკოვიდან გაემგზავრა ბირმის კავშირის საპარლამენტო დელეგაცია, რომელიც სამ კვირას სტუმრად იყო სსრ კავშირში. იგი იყო ლენინგრადში, სვერდლოვსკში, სტალინგრადში, სოჭში, ფრუნზეში, უფაში, ერევანში, კიევსა და ვილნიუსში. ახლა ბირმის პარლამენტარები გაემგზავრნენ პრაღაში ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების მიწვევით.

მოსკოველები გულთბილად გამოეთხოვნენ ბირმელ სტუმრებს. (საქტესი).

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად



ქუთაისის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ნართის საამქროს მოწინავე მგრეხავი [illegible] გამოცდილებას [illegible] მოწინავე მეთოდს აცნობს ახალგაზრდა მუშას ე. კაპანაძეს. ფოტო შ. კუკულავასი.

## ერთგული [illegible] ალების მოწინავენი

მცხეთის მტს-ი

1 ივლისი

ვლადიმერ გომურიშვილი შეუფერხებლად ამუშავებს „სტალინეც-6" მარკის კომბაინს სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში. მან ერთ სამუშაო დღეს მომკა 22 ჰექტარი პურეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 27 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 13 ცენტნერისა. ამხ. გომურიშვილის პირობაა 10 სამუშაო დღეში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აიღოს 280 ჰექტარზე.

ვალერიან მაისურაძემ ამავე კოლმეურნეობაში „სტალინეც-6" მარკის კომბაინით მომკა 20 ჰექტარი პურეული და ამით დღიურ დავალებას 10 ჰექტარით გადააჭარბა. თვითეულ ჰექტარზე გალეწა 20 ცენტნერი მარცვალი. იბრძვის იმისათვის, რომ 10 სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი აიღოს 280 ჰექტარზე.

სერგო ბიჭიაშვილი სოფელ მუხრანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს. მან „სტალინეც-6" მარკის კომბაინით 1,5 დღეში 26 ჰექტარი პურეული აიღო. საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 20 ცენტნერი მარცვლეული ნაცვლად 12 ცენტნერისა. ამხ. ბიჭიაშვილის პირობაა 10 სამუშაო დღეში მომკას 250 ჰექტარი.

ვახტანგ გედევანიშვილმა „სტალინეც-6" მარკის კომბაინით სოფელ საგურამოს კოლმეურნეობა „განთიადში" სამ სამუშაო დღეს მომკა 52 ჰექტარი ქერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 ჰექტარისა. მისი პირობაა 10 სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი აიღოს 270 ჰექტარზე.

## ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქართველოს ჩაის" ტრესტის 1957 წლის 1 ივლისის ცნობებით)

| რაიონები | გეგმის შესრულება %-ობით: წლიურისა | მაის-ივნისისა | რაიკომის მდივნები, რაიაღმასკომის თავმჯდომარეები |
|---|---|---|---|
| ბათუმის | 49,3 | 106,8 | ს. ესაძე, ა. ანანიძე |
| ქობულეთის | 43,8 | 94,5 | ა. გოგიტიძე, ლ. წულუკიძე |
| ქედის | 37,8 | 82,1 | ვ. კიკვაძე, ვ. ნაკაშიძე |
| სულ აჭარაში | 45,2 | 97,6 | |
| გალის | 40,8 | 88,3 | დ. გოგოხია, ხ. ტუფურია |
| ოჩამჩირის | 44,7 | 97,5 | ჩ. აბგაჯი, ტ. სოსელია |
| გულრიფშის | 51,9 | 112,7 | ლ. ელექჩიანი, შ. ბოკერია |
| სოხუმის | 50,8 | 110,6 | გ. ქაჯია, პ. ცანავა |
| გუდაუთის | 42,6 | 92,5 | დ. ხვარცკია, კ. გერია |
| სულ აფხაზეთში | 42,8 | 92,9 | |
| მახარაძის | 40,7 | 88,2 | შ. ჭანუყვაძე, დ. საბაშვილი |
| ჩოხატაურის | 44,6 | 96,9 | ა. გობრონიძე, გ. მამალაძე |
| ლანჩხუთის | 40,7 | 88,5 | დ. მანწკავა, მ. ვადაჭკორია |
| სამტრედიის | 38,7 | 84,2 | ნ. ფანცულაია, მ. ასათიანი |
| წულუკიძის | 27,4 | 58,3 | ს. ლეჟავა, მ. აბზიანიძე |
| ქუთაისის | 30,8 | 67,0 | მ. ბიბილაშვილი, ლ. ტაბიძე |
| წყალტუბოს | 46,0 | 100,1 | ვ. ურუშაძე, გ. გაგოშიძე |
| ტყიბულის | 34,3 | 77,2 | კ. ლომაძე, ი. გიორგობიანი |
| ცხაკაიას | 29,5 | 62,9 | ი. ურუშაძე, დ. ბაღათურია |
| აბაშის | 22,0 | 47,7 | მ. ბოკერია, ა. ჯღარკავა |
| გეგეჭკორის | 34,7 | 75,7 | კ. ხუბულავა, გ. შეროზია |
| ზუგდიდის | 35,0 | 76,5 | მ. ღვინჯილია, ვ. ესართია |
| წალენჯიხის | 42,0 | 93,9 | ვ. კვარაცხელია, ი. ზარანდია |
| ჩხოროწყუს | 38,7 | 84,2 | მ. ცანავა, შ. ხუნტუა |
| ხობის | 37,9 | 82,7 | ა. წურწუმია, ს. ნასარაია |
| თერჯოლის | 53,3 | 114,9 | პ. სახეჩიძე, ი. შუღლაძე |
| ზესტაფონის | 31,0 | 66,4 | შ. ხიდაშელი, გ. არევაძე |
| ჭიათურის | 41,8 | 92,8 | პ. აბესაძე, გ. ლომიძე |
| ვანის | 41,0 | 82,0 | გ. ლილუაშვილი, ა. ლომინაძე |
| სულ საქართველოს სსრ-ში | 40,2 | 87,4 | |

## ერთი მილიონი მანეთის ზეგეგმითი ძყავეული

თბილისის ლენინის სახელობის ტყავის პირველი ქარხნის ხელმძღვანელებმა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში წარადგინეს ცნობები იმის შესახებ, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ შეჯიბრებაში ქარხნის მთელი კოლექტივის აქტიური მონაწილეობით მიმდინარე წლის ექვსი თვის გეგმა ვადამდე — 25 ივნისისათვის იქნა შესრულებული.

ამავე დროისათვის ქარხნის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით მოგვცა 240.000 მანეთის საერთო პროდუქცია, გამოუშვა 2,6 ტონა ზეგეგმითი საძირე ტყავი და 2,8 ტონა ნედლი ტყავი.

ვამოწმებთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას

## ერთნაირ პირობებში სხვადასხვა შედეგები

ვრცელი და ნაყოფიერი სახნავ-სათესი ფართობები, ბუნებრივი ტყეების მასივები, მოსავლიანობის გადიდებისათვის მძლავრი ტექნიკა, შრომისმოყვარე ადამიანები — ასეა ცნობილი თელავისა და ყვარლის რაიონები. ამ შესაძლებლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ორივე რაიონს თითქმის ერთნაირი პირობები აქვს საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და სხვა დარგების მძლავრი აღმავლობისათვის.

უკანასკნელი წლების მონაცემები მეტყველებენ, რომ ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება კოლმეურნეობებში საგრძნობლად გაიზარდა 1953 წელთან შედარებით. ახლაც სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგის — მეცხოველეობის განვითარებისათვის. მაგრამ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის თელავისა და ყვარლის რაიონებს ჯერ კიდევ ბევრი რამ გასაკეთებელი აქვთ.

ამ ორი მეზობელი რაიონის მშრომელები ტრადიციულად ერთმანეთს ეჯიბრებიან. გასული სამეურნეო წლის შედეგებით თელაველებმა უკეთეს წარმატებებს მიაღწიეს, ვიდრე ყვარლელებმა. წელს კი პირველი იანვრიდან პირველ ივნისამდე მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა შედეგები მეცხოველეობაში სახარბიელო როდია.

ყვარლის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე აღინიშნა, რომ გასულ წელს დაბალი იყო ყოველ ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე ხორცის, რძის, მატყლის წარმოება. თათბირის მონაწილეებმა ჩამორჩენის დაძლევისათვის ღონისძიებები დასახეს და იკისრეს: ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე წელს მიიღონ 32 ცენტნერი ხორცი, 61 ცენტნერი რძე, ყოველ ას ჰექტარ სახნავზე — 27 ცენტნერი ღორის ხორცი, ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე — 1.760 ცალი კვერცხი, თვითეულ ცხვარზე — 2,6 კილოგრამი მატყლი, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე — 900 კილოგრამი რძე.

თელაველებმა კი უფრო გადიდებული ვალდებულებები წაუყენეს ყვარლელებს. მაგალითად, ყოველ ას ჰექტარ სავარგულებზე აწარმოონ 68 ცენტნერი რძე, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე — 1.200 კილოგრამი რძე, თვითეულ ცხვარზე 2,7 კილოგრამი მატყლი, ყოველ ას ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე — 5.000 კვერცხი, გაასუქონ 4.000 სული ღორი...

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებში ძლიერ ჩამორჩენილია ხორცის, კერძოდ, ღორის ხორცის, კვერცხის, ფრინველის ხორცის წარმოება. მიმდინარე წლის ხუთ თვეში ღორის ხორცის წარმოების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 20,7 პროცენტით, ფრინველისა — 11,9 პროცენტით, თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე ხუთ თვეში მიღებულია 16 ცალი კვერცხი. წელს ყვარლელებს გეგმით უნდა ჰყავდეთ 9.906 ფრთა მოზრდილი ფრინველი, ფაქტიურად არის 1.788. აქედან ჩანს, რომ ეს დარგი სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული. ამ ჩამორჩენას გრძნობენ რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები, სახავენ ღონისძიებებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. მათი შესრულება ჯერჯერობით ნამდვილი საქმეებით არ არის განმტკიცებული. თუ ახლავე არ მიიღებენ გადამჭრელ ზომებს, წლის ბოლოს გეგმების შესასრულებლად „იერიშობანა" ვერ უშველის საქმეს. ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ როგორც ყვარლელმა, ისე თელაველმა ამხანაგებმა. საჭიროა მათ სისტემატურად გადახედონ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, აამოქმედონ ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები, რათა დადებული პირობა უთუოდ შესრულდეს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გასული წლის ოქტომბრიდან 1957 წლის იანვრამდე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ თუ გადავხედავთ მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან პირველ ივნისამდე არსებულ მდგომარეობას, ყვარლელებს დიდი ჩამორჩენა აქვთ, თელაველებს უკეთესად აქვთ საქმე, მაგრამ ნაკისრ ვალდებულებებთან შედარებით მათი მონაცემებიც არასახარბიელოა. აი როგორია ეს მაჩვენებლები:

| თელავის რაიონი | ხუთ თვეში | ყვარლის რაიონი |
|---|---|---|
| 429 | თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველილია რძე (კილოგრამობით) | 365 |
| 3,33 | ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიღებულია ხორცი (ცენტნერობით) | 0,83 |
| 2,43 | ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე ღორის ხორცი (ცენტნერობით) | 0,63 |
| 23,08 | ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე რძე მიღებულია (ცენტნერობით) | 21,3 |
| 712,6 | ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე მიღებულია კვერცხი (ცალობით) | 163 |

შემოწმებამ ცხადყო, რომ ცალკეულ კოლმეურნეობებში მეტად დამაფიქრებელი მდგომარეობაა. ავიღოთ თუნდაც ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. მას 1956 წლის 1 ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 1 აპრილამდე რაიონის კოლმეურნეობებს შორის რძის მიღების მხრივ 18 კოლმეურნეობიდან მეთექვსმეტე ადგილი ეკავა, ხოლო პირველი ივნისის მდგომარეობით უკანასკნელ ადგილზე მოექცა. ამის შესახებ ხმა აიმაღლა რაიონულმა გაზეთმა, მაგრამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ სამართლიანი კრიტიკა არაფრად ჩათვალა. რედაქციას პასუხიც კი არ აცნობა. მდგომარეობა კი სავალალოა.

რძის წარმოების მხრივ ძლიერ ჩამორჩნენ შაქრიანის მეორე პარტყრილობის სახელობის, საბუის კიროვის სახელობის, გრემის მაქსიმ გორკის სახელობის, სანავარდოს კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობები, აგრეთვე კუჭატნის კოლმეურნეობა „განათლება". წველადობა დაბალია სოფელ ჰიკაანის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში.

— ადგილობრივი ჯიშის ძროხები გვყავს, რძეს არ იძლევიან, ჯიშიანი ძროხები თუ არ გვეყოლა, ჩამორჩენას თავს ვერ დავაღწევთ, — გვითხრა ჰიკაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. შ. მანძულაშვილმა.

რამდენად მართალია მისი განცხადება? ვფიქრობთ, ეს არის ხელზე დახვეული მიზეზი, რომელსაც წლების განმავლობაში იშველიებენ აქ. შეიძლება თუ არა ადგილობრივი ჯიშების გაუმჯობესება? უსათუოდ შეიძლება. მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობას, და პარტიულ ორგანიზაციას სერიოზული ნაბიჯები არ გადაუდგამთ ძროხების ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის. საინტერესოა ასეთი ფაქტი. 3 წელია, რაც ჯიშობრივ გაუმჯობესებას ახდენენ, მაგრამ წველადობა მაინც ძლიერ მცირეა. აქ მოწინავედ თვლიან ნ. დარახველიძეს, რომელიც 12 ძროხას უვლის. მან მაისში საშუალოდ თვითეულზე დღეში მიიღო 3,5 ლიტრი რძე, შ. თათრიშვილმა — 5.6 ლიტრი. სხვები კი უფრო ნაკლებს იღებენ. კოლმეურნეობამ 5 თვეში თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე მიიღო 5,5 კვერცხი. ასეთი მდგომარეობაა სხვა კოლმეურნეობებშიც. ამიტომ ამ საკითხებით უნდა დაინტერესდნენ პარტიის ყვარლის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი.

მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის თელაველ მეცხოველეებს დიდი მუშაობა დასჭირდებათ. მართალია, მათ გადაჭარბებით გაანაღდეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის წლიური გეგმა, მაგრამ ძროხისა და ფურკამეჩების სულადობის დავალება შესრულებული აქვთ 81,2 პროცენტით, ღორისა — 95,3 პროცენტით. წიწილების გამოყვანისა — 100,4 პროცენტით, ხოლო წიწილების შენარჩუნებისა — 96,7 პროცენტით. ჯერ კიდევ დაბალია რძის წარმოება რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში. სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეში" წელს ყოველ ას ჰექტარ სავარგულებზე უნდა აწარმოონ 66.5 ცენტნერი რძე, ხუთ თვეში აწარმოეს 22,3 ცენტნერი. კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში ხუთ თვეში რძის წარმოება შეადგენს 35 ცენტნერს, წლიური გეგმა კი 87,9 ცენტნერს ითვალისწინებს. ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ უნდა აწარმოოს 80,3 ცენტნერი რძე, ფაქტიურად 1 ივნისამდე წარმოებულია 24.7 ცენტნერი. ასევე დაბალია ხორცის, კერძოდ ღორის ხორცის წარმოება. რაიონის 23 კოლმეურნეობიდან თითქმის არც ერთი არ არის ამ საქმეში სამაგალითო, მოწინავე. ამიტომ აუცილებელია, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ გულდასმით შეისწავლოს ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდების საკითხები, დასახოს კონკრეტული გზები და ამთავითვე გაჩაღოს ბრძოლა შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ყვარლისა და თელავის რაიონების პარტიული და სამეურნეო ორგანოები თუ სწორად გამოიყენებენ ყველა არსებულ შესაძლებლობას, გასწევენ ორგანიზატორულ მუშაობას, იზრუნებენ გეგმების შესრულებისათვის არა სამეურნეო წლის მიწურულში, არამედ ყოველდღიურად, ყოველთვიურად, წარმატებებსაც მიაღწევენ და სასახელო მაჩვენებლებით შეხვდებიან დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს. მაშინ წლის ბოლოს უფრო ნათლად გამოჩნდება მათ მიერ გაწეული მუშაობის შედეგები. ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს!

ნ. ჯანჯღავა,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

# საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა რესპუბლიკის ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების სავაჭრო საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი პარტიის საქალაქო კომიტეტების მდივნებთან და სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად. თათბირი მიეძღვნა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის დადგენილების შესრულების შედეგებს. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგემ ამხ. ა. ჭირაქაძემ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შემდეგ გასულ დროში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა. 1956 წლის საქონელბრუნვის გეგმა შესრულდა 100,7 პროცენტით, ხოლო მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმა — 106,9 პროცენტით. საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ბრუნვა 1956 წელს 1955 წელთან შედარებით 43 მილიონი მანეთით გადიდდა, ხოლო 1957 წლის 5 თვეში — 32 მილიონი მანეთით.

მოპოვებული წარმატებანი იმის შედეგია, რომ სავაჭრო საწარმოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანს გააძლიერეს ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. აგრეთვე ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა გააუმჯობესეს მათდამი ხელმძღვანელობა.

თათბირზე მოიყვანეს სავაჭრო საწარმოთა მიერ რეზერვებისა და საქონელბრუნვის გაფართოების შესაძლებლობების უნარიანი გამოყენების, მთელი რიგი მაღაზიების, სასადილოების, ბაზების კარგი მუშაობის ფაქტები. მაგალითად, ბევრ შრომას ანდომებენ ვაჭრობის გაუმჯობესების საქმეს თბილისის მარჯვენა ნაპირის საზოგადოებრივი კვების ვაჭრობის პარტიული ორგანიზაციის კომუნისტები. ამ სავაჭრო ორგანიზაციის №№ 4, 54, 115 მაღაზიები საუკეთესონი არიან ქალაქში. მესამე წელია ისინი გამარჯვებული გამოდიან საქონელბრუნვის გეგმის შესრულებისა და კულტურული საბჭოთა ვაჭრობისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მაგრამ, როგორც ამაზე ლაპარაკობდნენ თათბირზე, მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ბევრი სავაჭრო ორგანიზაცია მექანიკურად ანაწილებს საქონელს, ანგარიშს არ უწევს ამა თუ იმ რაიონის მოთხოვნილებასა და ადგილობრივ თავისებურებებს. ეს იმას იწვევს, რომ ზოგ მაღაზიაში საქონელი ჩაწოლილია, ზოგან კი ეს საქონელი არ არის ხოლმე. სავაჭრო ქსელში ხშირია საქონლის ჩაწოლისა და ნაშთების ზენორმატიული ზრდის შემთხვევები. გასული წლის ოქტომბრიდან მიმდინარე წლის აპრილამდე ზენორმატიული ნაშთები თითქმის ერთიორად გადიდდა.

მყიდველები სამართლიან პრეტენზიას უყენებენ სავაჭრო ქსელის მუშაკებს ფართო მოხმარების საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის მხრივ. ვაჭრობის მუშაკები კი ურიგდებიან იმას, რომ ცალკეული საწარმოები სავაჭრო ქსელს აძლევენ საქონელს არა დაწესებული ასორტიმენტით, ხოლო ზოგჯერ დაბალი ხარისხისასაც.

დღემდე სავაჭრო ორგანიზაციებმა კარგად ვერ მოაგვარეს თბილისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის და სხვა ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მომარაგება ბოსტნეულით, ხილით, ხორცითა და რძის პროდუქტებით. ხილ-ბოსტნეულის დღიური შემოტანა თბილისში სახელმწიფო ვაჭრობის ხაზით 20-25 ტონას არ აღემატება, მოთხოვნილება კი 80-100 ტონას შეადგენს.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ფართოდ გაჩაღდეს მასობრივი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა დახლის მუშაკთა შორის, უსწრაფესად აღმოიფხვრას სერიოზული ნაკლოვანებანი ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში, გაძლიერდეს ბრძოლა გაფლანგვის, მტაცებლობის, ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

კამათის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს პარტიული მუშაობის გამოცდილება სავაჭრო საწარმოებში, შეიტანეს მთელი რიგი წინადადებანი, რომელთა მიზანია ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარება.

აფხაზვაჭრობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა რ. გულიამ ილაპარაკა ვაჭრობის მუშაკთა შორის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაზე და კულტურული საბჭოთა ვაჭრობისათვის დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაზე.

— ჩვენ განვაზოგადებთ შეჯიბრების მოწინავეთა გამოცდილებას, — თქვა მან, — ვხდით მას საერთო კუთვნილებად.

ღია პარტიულ კრებებზე საქონელბრუნვის გეგმების შესრულების საკითხების განხილვის პრაქტიკაზე ილაპარაკა აჭარკურორტვაჭრობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა დ. ვარდიადისმა. კრებებზე კომუნისტები და უპარტიოები გაბედულად ააშკარავებენ ჩამორჩენის მიზეზებს, ასახელებენ მის კონკრეტულ დამნაშავეებს, შემოაქვთ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის ქმედითი ღონისძიებანი. მათი წინადადებების განხორციელება ხელს შეუწყობს სავაჭრო საწარმოთა წარმატებით მუშაობას.

თბილისის უნივერმაღის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ი. ლოხიშვილმა ილაპარაკა კომუნისტების ავანგარდულ როლზე, ვაჭრობაში მოწინავე გამოცდილებაზე. უნივერმაღი ფართოდ აწყობს საქონლის ღია ვაჭრობას, რამაც თავისი დანიშნულება გაამართლა, აქ კარგად არის მოწყობილი მზა ტანსაცმლის ჩვენება. — ჩვენ, — თქვა მან, — ხშირად ვიწვევთ საწარმოო თათბირებს, რომლებზეც დახლის მოწინავე მუშაკები ერთმანეთს უზიარებენ მუშაობის გამოცდილებას. ჩვენი საქონელთმცოდნეები მეცადინეობენ ახალგაზრდა გამყიდველებთან, ამაღლებენ მათ კვალიფიკაციას.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და სახელმწიფო ვაჭრობის პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტი სამართლიანად გააკრიტიკა რუსთავის სავაჭრო ორგანიზაციის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ა. ჩიხრაძემ. მან ილაპარაკა იმაზე, რომ ჯერ კიდევ არ ექცევა საკმაო ყურადღება მეტალურგების სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების გაუმჯობესებას, ილაპარაკა პროფკავშირული ორგანიზაციების სუსტ დახმარებაზე სავაჭრო მუშაკების სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებაში. ჩვენმა სავაჭრო ორგანიზაციამ, — თქვა მან, — სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება დადო ქალაქ ფოთის სავაჭრო ორგანიზაციასთან საქონელბრუნვის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მყიდველთა კულტურული მომსახურებისათვის. ჩვენ ვთხოვეთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და სახელმწიფო ვაჭრობის პროფესიული კავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს ყოფილიყვნენ შეჯიბრების არბიტრი. მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს შეჯიბრების შედეგებიც კი არ შეუჯამებიათ.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგემ ვ. მარღანიამ გააკრიტიკა ხორცთევზვაჭრობის მთავარი სამმართველოს და საბაკალეო ვაჭრობის მთავარი სამმართველოს მუშაკები ფონდების, კერძოდ ხორცის, ძეხვეულისა და საკონდიტრო ნაწარმის არადამაკმაყოფილებელი დასაქონლებისათვის. მან ილაპარაკა, რომ გაგრის, გუდაუთის, ახალი ათონის მაღაზიები და საზოგადოებრივი კვების საწარმოები საკმაოდ არ მოემზადნენ საკურორტო სეზონისათვის.

სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს მიუძღვნა თავისი სიტყვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგემ ი. რთველიაშვილმა. მან ილაპარაკა იმაზე, რომ მაღაზიების, სასადილოებისა და ბაზების პირველადი პარტიული ორგანიზაციები საკმაოდ არ ახორციელებენ ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლებას, სავაჭრო ორგანიზაციებში სათანადოდ არ არის გაჩაღებული კრიტიკა და თვითკრიტიკა, ზოგიერთი კომუნისტი ვერ გრძნობს პასუხისმგებლობას მისთვის მინდობილი საქმისათვის. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ფართოდ გაჩაღდეს შეჯიბრება სავაჭრო მუშაკების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, საჭიროა სავაჭრო საწარმოებში და დახლთან სამუშაოდ მოვიზიდოთ რაც შეიძლება მეტი ქალი.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ადმინისტრაციული და სავაჭრო-ფინანსური ორგანოების განყოფილების გამგემ ი. სარაჯიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საქალაქო კომიტეტი და რაიკომები საკმაოდ ვერ ხელმძღვანელობენ სავაჭრო დაწესებულებების პირველად პარტიულ ორგანიზაციებს. მან ყურადღება გაამახვილა ვაჭრობის კადრების შერჩევისა და აღზრდის გაუმჯობესებაზე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების საკომისიო ვაჭრობის გამოცოცხლებასა და საკოლმეურნეო ბაზრებში წესრიგის დამყარებაზე.

თათბირზე გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე გ. მესხიძე, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების პარტორგანიზაციის მდივანი ვ. გოდაბრელიძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე დ. ვალიევი, ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის განყოფილების მუშათა მომარაგების განყოფილების პარტორგანიზაციის მდივანი ა. გრინევი, ქუთაისვაჭრობის პარტორგანიზაციის მდივანი ვ. იობიძე.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. დ. დუმბაძემ. აღნიშნა რა პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, მან დაწვრილებით ილაპარაკა სავაჭრო საწარმოთა მუშაკებს შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების, მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით მათი აღზრდის საკითხებზე. რესპუბლიკის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სისტემაში, — თქვა მან, — 60 ათასი კაცი მუშაობს, აქედან 10 ათასამდე კომუნისტია. ისინი გაერთიანებული არიან 550 პირველად ორგანიზაციაში. ეს დიდი ძალაა. პარტიის რაიონულმა, საქალაქო და საოლქო კომიტეტებმა უნარიანად უნდა წარმართონ ეს ძალა ვაჭრობაში ნაკლოვანებათა რაც შეიძლება მალე აღმოსაფხვრელად და უზრუნველყონ მოსახლეობის სანიმუშო მომსახურება.



თბილისის მომინანქრებული ჭურჭლის ქარხანაში საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მოსამინანქრებელი საამქროს მუშა, საქალაქო საბჭოს დეპუტატი ვალენტინა ჟიტინა, რომელიც ყოველთვიურ საწარმოო გეგმებს 215-230 პროცენტით ასრულებს. სურათზე: ვ. ჟიტინა მუშაობის დროს.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ქედის რაიონში

### მხარს უჭერენ თელაველთა თაოსნობას

რაიონში ფართოდ გაჩაღდა მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. ქედელმა კოლმეურნეებმა გულდასმით განიხილეს თელაველთა ინიციატივა. ერთსულოვნად ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრეს სანიმუშოდ შეაკეთონ არსებული სასკოლო შენობები და ინვენტარი, სოფელ დანდალოში ააგონ საშუალო სკოლის ახალი შენობა, ზვარეს სკოლის პირველ სართულში მოაწყონ რამდენიმე საკლასო ოთახი, მნიშვნელოვნად გააფართოონ ხარაულის, პირველი მაისის და წონიარისის რვაწლიანი და საშუალო სკოლები, 15 აგვისტომდე საჭირო რაოდენობით დაამზადონ და სკოლებში მიზიდონ შეშა და სხვა სათბობი.

### ვაზის კულტურა

ქედის რაიონმა სახელი გაითქვა ყურძნის უხვი მოსავლითა და მაღალხარისხოვანი ღვინოებით. 300 წლის მანძილზე თურქ დამპყრობთა მიერ გაჩანაგებულ მიწას კვლავ დაუბრუნდა მამაპაპური ვაზი. ახლა რაიონში ეს ძვირფასი კულტურა გაშენებულია 215 ჰექტარზე. რაიონში ცოტა როდია ისეთი მევენახეები, რომლებიც თვითეულ ჰექტარზე 100-150 ცენტნერ მოსავალს იღებენ.

### დაფნის ახალი პლანტაციები

მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებასთან ერთად რაიონში გათვალისწინებულია დაფნის კულტურის ფართოდ გაშენება. ეს კულტურა რაიონში დღემდე გაშენებული იყო მხოლოდ 12 ჰექტარზე, ხოლო მიმდინარე წელს გაშენდა კიდევ 5 ჰექტარზე. კოლმეურნეობებმა გადაწყვიტეს დაფნა ამდენსავე ფართობზე გააშენონ შემოდგომაზე. ბზუბზუს პაპანინის სახელობის კოლმეურნეობაში მოეწყო დაფნის სანერგე.

### საცხოვრებელი სახლი მედიცინის მუშაკთათვის

რაიონის ცენტრში დაიწყო ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელიც განკუთვნილია მედიცინის მუშაკთათვის. მშენებლობა მიმდინარეობს იმ ანგარიშით, რომ იგი საექსპლოატაციოდ გადაეცეს დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

მზადება რკინიგზელის დღისათვის

## ჩვენი მაგისტრალის მოწინავე ადამიანთა მიღწევები

მოახლოვდა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა ტრადიციული დღესასწაულის დღე, რომელიც წელს 7 ივლისისთვის არის გადმოტანილი. ამ დღის ღირსეულად აღნიშვნისათვის უმაგალითო ენთუზიაზმით გააჩაღეს ბრძოლა ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის მუშაკებმა.

შესანიშნავად მუშაობენ შორაპნელი მტვირთავი რკინიგზელები, რომლებმაც მაისსა და ივნისში რკინიგზელის ტრადიციული დღესასწაულის აღსანიშნავად ათეულ ათასობით ვაგონი მაღალხარისხოვანი მარგანეცის მადანი გაუგზავნეს მეტალურგიულ ქარხნებს გეგმის გადამეტებით.

დიდ წარმატებებს აღწევენ სახელოვანი მძიმეწონოსანი მემანქანეები, რომლებმაც ბოლო ხანებში შესამჩნევად გააძლიერეს მძიმე წონის მატარებელთა ტარება. ივნისის მეორე ნახევარში მთელ მაგისტრალზე დაწინაურდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მეელმავლეები და მეორთქლმავლეები, რომლებმაც მძიმე წონის მატარებელთა რაოდენობა 84 პროცენტამდე აიყვანეს. ყოველი ასი შემადგენლობიდან 84 შემადგენლობა მათ მძიმე წონისა გადაჰყავთ.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანეები გ. აზნაურაშვილი და ს. ქსოვრელი მძიმე წონის მატარებელთა ტარებაში ახლა მთელ მაგისტრალზე მაგალითის მაჩვენებლებად ითვლებიან. ასევე ყველაზე მეტი რაოდენობით შეადგინა მძიმე წონის მატარებლები თბილისის განყოფილების მორიგის გ. პაპინაშვილის ცვლის კოლექტივმა. 86 სატვირთო შემადგენლობიდან ივნისის ორ დეკადაში ამ ცვლამ 73 მატარებელი მძიმე წონისა გაგზავნა.

მაღალნაყოფიერი შრომის შესანიშნავ ნიმუშებს გვაძლევენ თბილისის სამგზავრო-სავაგონო უბნის რკინიგზელები. ამ უბნის კოლექტივმა ნახევარი წლის გეგმა ვადამდე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა, გაწია ფულადი საშუალებებისა და მასალების საგრძნობი ეკონომია. 25 ივნისისათვის ამ უბნის კოლექტივს უკვე 40.000 მანეთი ზეგეგმითი მოგება ჰქონდა. ამასთან უბნის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით გამოუშვა ხუთი სამგზავრო ვაგონი, რომლებიც შეკეთებულ იქნა მომჭირნეობით მიღებული მასალებით.

ცნობები მოდის, რომ რკინიგზელის დღისათვის საუკეთესო წარმატებებს აღწევენ ტყიბულელი, სოხუმელი, რიონელი და წყალტუბოელი რკინიგზელები. ენერგომომარაგების ხაზური უბნის, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სოხუმის დისტანციის, თბილისის საექსპედიციო-სატრანსპორტო კანტორის კოლექტივები, რომლებიც დაჯილდოებული არიან საგზაო გარდამავალი წითელი დროშებით, რკინიგზელის დღისათვის სამშობლოს ახალ საწარმოო საჩუქრებს უმზადებენ.

ა. არუთინოვი.

## გეგმის გადამეტებით დატვირთულია მრავალი ათეული ვაგონი

ნავთლუღის რკინიგზის კვანძის კოლექტივი თვალსაჩინო წარმატებებით ხვდება სოციალისტური ტრანსპორტის მუშაკთა დღესასწაულს — რკინიგზელის დღეს. ბოლო დროს აქ საგრძნობლად გააძლიერეს ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის ტემპი, გაადიდეს მძიმე წონის მატარებელთა რაოდენობა და ნორმის გადამეტებით დიდძალი ტვირთი გაგზავნეს დანიშნულებისამებრ. ამასთან მათ გაწიეს 200.000 მანეთის ეკონომია და მნიშვნელოვნად შეამცირეს ვაგონების მოცდენა.

რკინიგზელის საკავშირო დღის მოახლოების გამო კვანძის მოწინავე ადამიანები, რომლებიც დავალებებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ, შრომითს ვახტზე დადგნენ და საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ. დისპეტჩერები ს. ავეტისიანი, ი. რეზვანი, მ. ბერიაშვილი, მატარებლის შემდგენლები გ. სიხარულიძე, ი. პრიხოდჩენკო, ხ. ზადიკიანი, გადამბმელები გ. გევორქიანი, ი. გიუნაშვილი, მეისრეები ი. ქელიძე, ნ. უსტოვი და ი. ცხოვრებაძე თვითეულ სამუშაო დღეს ახალი მიღწევებით აღნიშნავენ. ივნისის ორი დეკადის დავალება ნავთლუღელმა რკინიგზელებმა 122 პროცენტით გაანაღდეს, გეგმის გადამეტებით ასობით ვაგონი დატვირთეს და მძიმე წონის 112 მატარებლით ნორმის გადამეტებით 22.015 ტონა ტვირთი გადაზიდეს.

## ჭიათურელთა დელეგაცია კრივოი როგში

ჭიათურა. (საკ. კორ.). ამ დღეებში უკრაინის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრიდან კრივოი როგიდან დაბრუნდა ჭიათურელთა დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ მარგანეცის ტრესტის მთავარი ინჟინერი დ. გელაშვილი, ტრესტის შრომის ორგანიზაციის განყოფილების უფროსი დ. გაბუნია, მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ჭიათურის ქალაქკომის თავმჯდომარის მოადგილე ბ. გამყრელიძე, ლენინის სახელობის მაღაროს ნორმადირი ბ. კუპატაძე, სტალინის სახელობის მაღაროს პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე დ. ბრეგვაძე, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ინჟინერი ა. კენჭოშვილი, სულ ცხრა კაცი.

დელეგაცია გაეცნო კრივოი როგის რკინის საბადოებს, გამამდიდრებელი ფაბრიკის მუშაობას, ახალ ტექნიკას.

დელეგაცია დაესწრო აგრეთვე ზონალურ თათბირს, რომელიც მიეძღვნა შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ხელფასის ანაზღაურების საკითხებს.

# ვამრავლოთ მოწინავეთა რიგები სოფლის მეურნეობაში

საბჭოთა ხალხი უდიდესი ენერგიით ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია გამსჭვალული არიან ერთი აზრით — ახალი წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს მშრომელები.

მიუხედავად ამინდის პირობებისა, გასულ წელს ჩვენს რესპუბლიკაში წარმატებით შესრულდა ჩაის, ყურძნის, ხილის და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმები. საქართველოს ბევრმა კოლმეურნეობამ შარშან მნიშვნელოვნად გაადიდა მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ამის შედეგად მრავალმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მოიპოვა 1957 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება. მაგალითად, ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 1956 წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 422.535 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ანუ საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 5.036 კილოგრამი ნედლეული, მარტო ჩაის კულტურიდან არტელის ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 4.055.760 მანეთი, ანუ 3.461.948 მანეთით მეტი, ვიდრე 1941 წელს. ამ წარმატებას კოლმეურნეობამ მიაღწია მოწინავე აგროტექნიკისა და უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის შედეგად. კარგად მოაწყეს შრომა, ყველა აგროტექნიკური ღონისძიება დროულად განახორციელეს. მინერალურ სასუქებთან ერთად აქ დიდი რაოდენობით იყენებენ ნაკელსა და ტორფს. ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ბრიგადებსა, რგოლებსა და ცალკეულ კოლმეურნეებს შორის. სისტემატურად ხდება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება.

ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში კარგი მაჩვენებლები აქვს ამავე რაიონის სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას. აქ 166,3 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 5 ათას კილოგრამზე მეტი ნედლეული, ხოლო ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 493,6 ჰექტარი პლანტაციიდან საშუალოდ ჰექტარზე 4.514 კილოგრამი ჩაი მოკრიფა.

აგროტექნიკური ღონისძიებებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვით ჩაის პლანტაციების მოვლა გააუმჯობესა და ხარისხოვანი ნედლეულის დამზადებაში საუკეთესო მაჩვენებლები აქვს მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, სადაც 130 ჰექტარი სრულმოსავლიანი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 4.570 კილოგრამი ნედლეული. 1956 წელს აქ თვითეულ შრომადღეზე გასცეს 31 მანეთი და 80 კაპიკი ფულად და 3 კილოგრამი მარცვლეული.

რით აიხსნება ეს წარმატებანი? იმით, რომ სერიოზულ ყურადღებას აქცევენ კადრების შერჩევას, საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე მათ სწორად განაწილებას, მაღალი აგროტექნიკის დანერგვას. შრომითი და სხვა რესურსების მთლიანად გამოყენებას.

კოლმეურნეობას ბევრი საამაყო ადამიანი ჰყავს. მესამე ბრიგადაში (ხელმძღვანელი ა. ჩიგოგიძე) 22 ჰექტარი პლანტაციის საშუალოდ ჰექტარზე შარშან მიიღეს 5.106 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. მერგოლეურმა ლენა შარაძემ მოსავლელად მიჩენილი 4,6 ჰექტარი პლანტაციის საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფა 6.670 კილოგრამი. პირადად მან მოუარა ერთ ჰექტარ პლანტაციას, მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 7.113 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. კოლმეურნე თ. ღლონტმა 0,52 ჰექტარ პლანტაციაში მოკრიფა 4.052 კილოგრამი ნედლეული. ამ კოლმეურნეობამ მოიპოვა საპატიო უფლება იყოს 1957 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ფართო ჩვენებით.

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის ახალაბასთუმნის სახელობის კოლმეურნეობაში 61,2 ჰექტარი ჩაის პლანტაციის საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 4.697 კილოგრამი ფოთოლი.

ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებით თავი ისახელეს ბათუმის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, გალის და ზოგიერთი სხვა რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და სპეციალისტებს მოუწოდეს 1957 წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 125 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. რესპუბლიკის მეჩაიეები მხურვალედ გამოეხმაურნენ მოწოდებას და იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი, რომელთა შესრულებისათვის ბრძოლის გადამწყვეტი პერიოდი დადგა. სუბტროპიკული რაიონების მშრომელთა ღირსების საქმეა მოაწყონ ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფა და არ დაუშვან დანაკარგები.

მევენახეობა ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, მთელი რიგი კოლმეურნეობებისათვის იგი შემოსავლის ძირითადი წყაროა. რესპუბლიკის ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ გასულ წელს ყურძნის უხვი მოსავალი მიიღო და დიდი გადაჭარბებით შეასრულა ყურძნის დამზადებისა და შესყიდვის გეგმები. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგი შედეგი მოიპოვეს გურჯაანისა და თელავის რაიონების ცალკეულმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობაში 180 ჰექტარი სრულმოსავლიანი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 75,6 ცენტნერი ყურძენი, რაც საგრძნობლად აღემატება წინა წლის მოსავალს. ამავე რაიონის სოფელ შაშიანის კოლმეურნეობამ შარშან საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 90,2 ცენტნერი ყურძენი, სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 101 ჰექტარი ვენახის ფართობის თვითეულ ჰექტარზე 78 ცენტნერი, თელავის რაიონის სოფელ სანიორის კოლმეურნეობა „1 მაისმა" 67 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 106 ცენტნერი; ყულარის საბჭოთა მეურნეობამ — 156 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 111,6 ცენტნერი.

ამოცანა ის არის, რომ წარმატებით შევასრულოთ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების მიერ ნაკისრი ვალდებულებანი და 1957 წელს რესპუბლიკაში მსხმოიარე ვენახების მთელი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ კოლმეურნეობებში სულ ცოტა 52 ცენტნერი ყურძენი, საბჭოთა მეურნეობებში — 62 ცენტნერი და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 140.000 ტონა ყურძენი.

მეექვსე ხუთწლედში დიდი ამოცანებია დასახული მეთამბაქოეების, მე-



თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივი ახალი მიღწევებით ხვდება რკინიგზელის დღეს. მეელმავლეებს ყოველდღე დაჰყავთ მძიმე წონის მატარებლები, ნორმის გადამეტებით გადააქვთ ათასობით ტონა სახელმწიფო ტვირთი. სურათზე: საელმავლო დეპოს მოწინავე მემანქანეები (მარჯვნიდან მარცხნივ) გ. ბერუაშვილი, რ. აფხაზავა, ს. გოგოლაძე და გ. ლომსაძე.
ფოტო შ. გოქაძისა.

ჭარხლეების, მებოსტნეებისა და მეკარტოფილეების წინაშე. გასულ წელს თამბაქოს კარგი მოსავალი მიიღეს ლაგოდეხის რაიონის სოფელ კალინოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში. ეს კოლმეურნეობა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო ფართო ჩვენებით 1954, 1955 და 1956 წლებში. აღნიშნული კოლმეურნეობა გასულ წელს თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებისათვის 1957 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა ფართო ჩვენებით.

თამბაქოს მაღალი მოსავალი მიიღო შარშან გაგრის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც სამსუნის ჯიშის თამბაქოს 109 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 20,2 ცენტნერი. ამავე რაიონის სოფელ დრანდის კოლმეურნეობა „ახალ სოფელში" 37 ჰექტარი თამბაქოს პლანტაციიდან საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 16,2 ცენტნერი სამსუნის ჯიშის თამბაქო.

მიმდინარე წელს ნაკისრი ვალდებულებით კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ 16 ათასი ტონა თამბაქოს ნედლეული.

გასულ წელს მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ხორბლისა და სიმინდის საუკეთესო მოსავალი მიიღეს. მაგალითად, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ 2.495 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 21,5 ცენტნერი ხორბალი მოიყვანა, მარნეულის რაიონის სოფელ კასუმლოს ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობამ — 550 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე — 20 ცენტნერი და სხვ.

რას მოწმობს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მუშაობა? ჯერ-ერთი, იმას, რომ მთელ ფართობზე შეიძლება მოვიყვანოთ დიდი მოსავალი მაღალი აგროტექნიკის განხორციელებისა და შრომის კარგი ორგანიზაციის გზით.

მეორე, ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოსავლიანობის გადიდების რეზერვები აქვთ. მაშასადამე, საჭიროა ავამოქმედოთ ეს რეზერვები და შეუპოვრად ვიბრძოლოთ მეექვსე ხუთწლედის მეორე წელს — 1957 წელს სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის.

საქმის ინტერესები მოითხოვს ფართოდ დავნერგოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში უხვი მოსავლის ოსტატთა მდიდარი გამოცდილება, ვამრავლოთ მოწინავეთა რიგები.

საქმით გავანაღდოთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი და ახალი წარმატებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს.

ვ. სიხარულიძე.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტის უფროსი კონსულტანტი.

# დიდი ამოცანების წინაშე

არსად, არც ერთ ქვეყანაში ტყეები და მწვანე ნარგავები არ სარგებლობს ისეთი დიდი ყურადღებითა და პატივისცემით, როგორც ჩვენს ქვეყანაში. ამ ყურადღების ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს კერძოდ ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოება „ტყის მეგობრის" დაარსება. ეს საზოგადოება თავისი შექმნის დღიდან სერიოზულ მუშაობას ეწევა ქალაქებისა და სოფლების გამწვანებისათვის, მწვანე ნარგავთა დასაცავად მშრომელთა დარაზმვისათვის. საზოგადოება „ტყის მეგობარი" ახლა უკვე მასობრივ ორგანიზაციად არის გადაქცეული. საზოგადოების წევრების შრომითი მონაწილეობით ქალაქებსა და სოფლებში დარგული და გახარებულია მილიონობით ხე და ბუჩქი.

გამწვანებისათვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან „ტყის მეგობრის" აჭარისა და აფხაზეთის რესპუბლიკური საბჭოები, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის, გორის, ფოთის საქალაქო, თეთრი წყაროს, ადიგენის, ამბროლაურის, ახალციხის, მახარაძის, ლანჩხუთის, ზესტაფონის, გეგეჭკორის, თელავის, გურჯაანის, კაჭრეთის და სხვ. რაიონული საბჭოები. „ტყის მეგობრის" რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმიც თავის მხრივ მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებს ქალაქებისა და ახალდასახლებული სოფლების, აგრეთვე გზების გასამწვანებლად.

„ტყის მეგობრის" საბჭოს პრეზიდიუმმა 3-4 წლის განმავლობაში გაამწვანა მცხეთა-გორის და ქუთაის-წყალტუბოს გზატკეცილები. დაირგო უმთავრესად ხეხილი, აგრეთვე დეკორაციული და ტყის ჯიშები. გაამწვანა ახლადდასახლებული სოფლები: გამარჯვება და ახალი სამგორი (გარდაბნის რაიონი), ორჯონიკიძე და წერეთელი (მარნეულის რაიონი), სართიჭალა (საგარეჯოს რაიონი). გარდა ამისა, სართიჭალასა და გამარჯვებაში ახლად-დასახლებულებს პრეზიდიუმმა შეუძინა და უსასყიდლოდ გადასცა 15 ათას ძირზე მეტი ხეხილის ნერგი საკარმიდამო ნაკვეთების გასამწვანებლად. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს საგურამოს გზაზე ილია ჭავჭავაძის ობელისკის მიდამოების და სოფელ ყვარელში კოტე მარჯანიშვილის ეზო-კარმიდამოს გამწვანებისა და კეთილმოწყობისათვის.

მიუხედავად მიღწევებისა, საზოგადოება „ტყის მეგობარს" ნაკლიც აქვს, კერძოდ, დარგული ნერგების გახარებისა და შენარჩუნების საქმეში. ჩვენი ორგანიზაციების დაუდევრობის, უყურადღებობისა და მოუვლელობის შედეგად ზოგან დარგული ნერგები გახმა ან გაჩეხილი და დაზიანებულია.

„ტყის მეგობრის" სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭომ კარგი საქმე წამოიწყო, როცა ხელი მოჰკიდა ქ. სტალინირის დასავლეთით ე. წ. „ნაცარგორის" გამწვანებას. აქ უკვე დარგეს რამდენიმე ათასი ძირი წიწვიანი და ფოთლოვანი მცენარეები, მუშაობა მიმდინარეობს. ეჭვს გარეშეა, რომ ახლო მომავალში ეს ადგილი ქ. სტალინირის მოსახლეობის დასვენების ადგილად გადაიქცევა. სტალინირ-გორის გზატკეცილზე 3 კილომეტრ სიგრძეზე 5-6 მწკრივად დარგული და გახარებულია რამდენიმე ათასი ძირი ნერგი, გზის გამწვანება ყოველწლიურად ხდება, მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ნარგავების მოვლას ზოგჯერ საჭირო ყურადღება არ ექცევა. მოუვლელობის შედეგად გახმა ლენინგორ-ოძისის მიმართულებით 2 კილომეტრზე და თამარაშენისა და ტბეთის შარაგზების პირებზე დარგული მცენარეები.

მიუხედავად იმისა, რომ წულუკიძის, ხაშურის, ბოლნისისა და საგარეჯოს რაიონებში მცენარეთა დარგვა წარმატებით მიმდინარეობს, წინათ დარგულ მცენარეთა მოვლა-პატრონობას საჭირო ყურადღება არ ექცევა. ამიტომ ბევრი გახმა.

ბევრი რამ გაკეთდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების გამწვანებისათვის. ქ. სოხუმის ცენტრში, მთავრობის სახლის წინ საკმაოდ დიდი ფართობი გაამწვანეს და მოაწყეს პარკი, რაზეც 80 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა. ასეთივე პარკები და სკვერები მოაწყეს გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, გუდაუთის რაიონებში. მაგრამ გულისტკივილით უნდა აღინიშნოს უყურადღებობისა და დაუდევრობის ერთი ფაქტი: ამ ორი ათეული წლის წინათ გუდაუთ-გაგრის გზატკეცილის გაყოლებით რამდენიმე კილომეტრზე დაირგო ევკალიპტები, რომლებმაც შესანიშნავად გაიხარა. მაგრამ დღეს ევკალიპტების ტყეს უსისტემოდ ჭრიან და ჩეხავენ. ცხადია, ამ საქმეში ბრალი მიუძღვით „ტყის მეგობრის" აფხაზეთის საოლქო და გუდაუთის რაიონულ საბჭოებსაც.

ამ ფაქტებიდან შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: „ტყის მეგობრის" საზოგადოების ბევრი ძირეული ორგანიზაცია სჯერდება „ტყის დღეს" მცენარეების დარგვას, დარგულ და გახარებულ მცენარეთა შენარჩუნებისათვის კი არ ზრუნავს. ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ. დარგული მცენარეები აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ, არ გამოვედევნოთ რაოდენობას, დავრგოთ იმდენი, რის მოვლა-პატრონობასაც შევძლებთ.

„ტყის მეგობრის" რაიონულმა და საქალაქო ორგანიზაციებმა „ტყის დღის" ჩატარებამდე უნდა გამოავლინონ გასამწვანებელი და გასატყევებელი თავისუფალი ფართობები. დარგვა უნდა ვაწარმოოთ მეტწილად კომპაქტურად, განსაზღვრულ ფართობებზე, რათა გაადვილდეს მათი მოვლა და დაცვა. ყოველი ქალაქისა და სოფლის მახლობლად მოიპოვება სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის გამოუსადეგარი ფართობები. სასურველია სწორედ ასეთი ფართობები გავატყეოთ და გავამწვანოთ, შევქმნათ მათზე მცირე ტევრები. გზების გამწვანებისას უნდა ვერიდოთ დიდ მანძილზე ერთმწკრივიანი ნარგავების შექმნას. მუშაობაში ფართოდ უნდა დავნერგოთ გზის მოკლე ნაკვეთებზე ნარგავების რამდენიმე მწკრივად გაშენების პრაქტიკა. ამ შემთხვევაში ადვილია ნარგავთა შემოღობვა და მოვლა, უკეთესია გახარებაც. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჯიშების სწორად შერჩევას.

„ტყის მეგობრის" საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებსაც შორიდან უხდებათ სარგავი მასალის გადმოზიდვა, დიდი სიფრთხილე მართებთ. ტრანსპორტირების დროს კარგად უნდა შეიფუთოს ნერგების ფესვები, რათა არ გამოშრეს. თუ იმავე დღეს არ ირგვება, ნერგები ქარისაგან დაცულ ადგილზე მიწაში უნდა ჩაიმარხოს. საზოგადოების მთელ რიგ პირველად ორგანიზაციებს ნარგავები გაუხმათ იმის გამო, რომ დაავიწყდათ დარგვის დროს ფესვებზე მიყრილი მიწის მიტკეპნა და წყლის დასხმა. ამ წესის შესრულება აუცილებელია, რათა ფესვები ნიადაგში კარგად მომაგრდეს. ფოთლოვანი ჯიშის ნერგების ცუდი გახარების მიზეზი ისიც არის, რომ დასარგავ ნერგს ტოტებს არ უკვეცავენ. ტოტების შეჭრა ფოთლოვანი ჯიშის მცენარისათვის აუცილებელია, ვინაიდან ნერგის ამოღებისას ფესვების ნაწილი წყდება და ნიადაგში რჩება, ამიტომ საჭიროა სათანადოდ შემცირდეს ტოტებიც, რომლებიც წყალს აორთქლებენ.

„ტყის მეგობრის" საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საკუთარი სანერგეების შექმნა. „ტყის მეგობრის" ყველა რაიონულ და საქალაქო საბჭოს უნდა ჰქონდეს საკუთარი სანერგე. გარდა იმისა, რომ ეს თავიდან აგვაცილებს ნერგების შორიდან შემოტანას, საკუთარ სანერგეებში შეგვიძლია გამოვიყვანოთ ისეთი ჯიშის ნერგები, რომლებიც რაიონის ჰავისა და ნიადაგის პირობებს შეეფერება; ეს საჭიროა სხვა მოსაზრებითაც: აქამდე ნერგს სატყეო მეურნეობები გვაწვდიდნენ, ახლა მათ სამუშაოს მოცულობა გაუდიდდათ და იმდენი თავისუფალი ნერგი არა აქვთ, რომ სხვას დაუთმონ.

ახალი სანერგეების მოსაწყობად და ძველის გასადიდებლად საზოგადოებამ წელს გარკვეული მუშაობა გასწია, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი როდია გაკეთებული. კარგი სანერგეები აქვთ საზოგადოება „ტყის მეგობრის" აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკურ საბჭოებს, კაჭრეთის, თელავის, ლანჩხუთის, მახარაძის, სამტრედიის, ჩოხატაურის და სხვა რაიონულ საბჭოებს.

სამწუხაროდ, „ტყის მეგობრის" ბევრმა რაიონულმა საბჭომ დღემდე ვერ შეძლო საკუთარი სანერგის მოწყობა. საკუთარი სანერგეები არა აქვთ, მაგალითად, ასპინძის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ყაზბეგის, დუშეთის, კასპის და სხვა რაიონულ საბჭოებს. დმანისისა და წალკის რაიონული საბჭოები იმის გამო, რომ საკუთარი სანერგე არა აქვთ, წელს „ტყის დღესთან" დაკავშირებით თბილისის გარეუბნებში ეძებდნენ ნერგს, მაშინ როცა ნერგები უკვე აყვავებული და გაფოთლილი იყო.

საზოგადოება „ტყის მეგობრის" მუშაობას დიდი სახელმწიფოებრივი და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ეს გვავალებს მთელი პასუხისმგებლობით ვიმუშაოთ, გავითვალისწინოთ წარსულ წლებში დაშვებული შეცდომები, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი ჩვენს მუშაობაში, წარმატებით შევასრულოთ საზოგადოების წინაშე დასახული ამოცანები.

ახლა საზოგადოება ემზადება თავისი III რესპუბლიკური ყრილობისათვის, რომელიც ახლო ხანში შეიკრიბება. „ტყის მეგობრის" პირველადი ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა, რაიონულმა და საქალაქო კონფერენციებმა შედეგად უნდა მოგვცეს საზოგადოების მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, საზოგადოების წევრთა რიცხვის შემდგომი ზრდა. ყრილობა, შეაჯამებს რა 10 წლის მანძილზე გაწეულ მუშაობას, დასახავს ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების გამწვანებას.

**თ. ნატროშვილი,**
სრულ. საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

## საწარმოო პრაქტიკაზე საბჭოთა მეურნეობაში

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ამზადებს სოფლის მეურნეობის კვალიფიციურ კადრებს. მოსწავლეთა ცოდნის განსამტკიცებლად დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული ჩვევების შეძენას. ამიტომაც ტექნიკუმის მეხილეობა - მებოსტნეობა - მევენახეობის განყოფილების მე-4 კურსის 50 მოსწავლე საწარმოო პრაქტიკაზე მივლინებულ იქნა მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში.

მოსწავლეები აქ ეცნობიან ვაზის მოვლა-გაშენების წესებს. მათ 7 ჰექტარზე დარგეს 19 ათასი ძირი მაღალმოსავლიანი ჯიშის ვაზი. ღვინის ქარხანაში ისინი სწავლობენ ყურძნის გადამუშავების ტექნოლოგიას. ზუგდიდელი მოსწავლეები რამდენიმე დღეს დაჰყოფენ ქუთაისის მეხილეობა-მებოსტნეობის საცდელ - სასელექციო სადგურშიც.

## ყაზანლიყის ვარდი

თელავი. (საკ. კორ.). ყაზანლიყის ვარდის პლანტაციები, რომლებიც მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს არის გაშენებული, წითლად აღარ გამოიყურება, კრეფა დასასრულს უახლოვდება. ვარდის მოსავლის დავალება შესრულებულია. შარშანდელთან შედარებით მოკრეფილია 100 ცენტნერით მეტი ვარდის ფურცელი.

ნაფარეულის ეთერზეთის ქარხანას ყაზანლიყის ვარდის პლანტაცია გაშენებული აქვს 4,5 ჰექტარზე. იგი სანიმუშოდ არის მოვლილი. ქარხნის მუშაკებმა ვარდის ყველაზე დიდი მოსავალი მოიყვანეს. გეგმით ცხრა ტონა ვარდი უნდა მიეღოთ, ფაქტიურად 25,5 ტონა მიიღეს.

★



გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ნიბლაძე (მარჯვნივ), მე-9 ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. გოისაშვილი და გურჯაანის მტს-ის დირექტორი დ. როსტოშვილი ამოწმებენ სიმინდის ნათესებს.

ფოტო შ. გოქაძისა.

## ყამირის მოსავალი მოგვიწოდებს!

### მამაც მეყამირეთა დასახმარებლად



ჩვენი რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს სასწავლებლებში ათასობით ახალგაზრდამ გამოთქვა სურვილი გაემგზავროს ყამირზე უხვი მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. ჭაბუკები და ქალიშვილები ქმნიან დამკვრელ ბრიგადებსა და რაზმებს. ყამირზე წამსვლელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება.

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრავალმა სტუდენტმა დაწერა განცხადება, გამოთქვა ყამირზე გამგზავრების სურვილი.

— ყამირ მიწაზე უხვი მოსავლის მიღების ცნობამ, — წერს თავის განცხადებაში სამშენებლო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი, კომკავშირელი ო. სარალიძე, — ჩემშიც უდიდესი სიხარული და აღტაცება გამოიწვია. მე მსურს პირადი შრომით დავეხმარო გმირ მეყამირეებს მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებაში.

ყამირზე გამგზავრების სურვილი გამოთქვეს აგრეთვე ამავე ინსტიტუტის სტუდენტებმა გ. ნოზაძემ, თ. დობორჯგინიძემ, რ. კამალოვამ, მ. დოლიძემ და სხვებმა.

მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დილმის ტექნიკუმის სტუდენტთა შორის საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ კომკავშირელებისა და მთელი საბჭოთა ახალგაზრდობისადმი.

— ჩვენ გველოდებიან ყაზახეთისა და ციმბირის უხვმოსავლიანი ველები, — განაცხადა ტექნიკუმის მესამე კურსის სტუდენტმა, კომკავშირელმა რ. მჭედლიშვილმა. — პირობას ვდებ, რომ პირნათლად შევასრულებ ლენინური კომკავშირის დავალებას.

ყამირზე გამგზავრების მსურველთა შორის არიან ტექნიკუმის სტუდენტები ბ. გედაშვილი, ვ. წვერიანაშვილი, გ. ჯალალოვი და სხვები.

ისინი მოუთმენლად მოელიან იმ დღეს, როდესაც თბილისიდან სიხარულით გაემგზავრებიან გატეხილი ყამირისაკენ უხვი მოსავლის ასაღებად.

• • •

**სურათზე:** სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დილმის ტექნიკუმის სტუდენტები, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს წავიდნენ მოსავლის ასაღებად ყამირ მიწებზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ი. ნუროშვილი, რ. მჭედლიშვილი, ბ. გელაშვილი, გ. ჯალალოვი, ვ. წვერიანაშვილი და ა. აღდგომელაშვილი.

ფოტო გ. გოგოხიასი.

## არ წყდება განცხადებათა ნაკადი

რუსთავი. (საკ. კორ.). საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდების გამოქვეყნებიდან პირველსავე სამ დღეს მეტალურგთა ქალაქში 500-ზე მეტმა ახალგაზრდამ გამოთქვა სურვილი გაიგზავნონ ყამირ და ნასვენ მიწებზე მოსავლის ასაღებად.

კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტში პატრიოტების განცხადებათა ნაკადი არ წყდება.

— მსურს ჩემი წვლილი შევიტანო იმ დიდ სახალხო საქმეში, რასაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საკეთილდღეოდ ახორციელებენ მამაცი მეყამირეები, — წერს განცხადებაში ქალაქის გამწვანების ტრესტის მუშა ა. მახარობლიძე, — პირობას ვიძლევი მაღალნაყოფიერი შრომით ვასახელო სამშობლო.

ასეთივე პატრიოტული განცხადებებით მიმართეს საქალაქო კომიტეტს ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს ზეინკალმა გ. აბშილავამ, აზოტოვანი სასუქების ქარხნის მუშამ ზ. ჭიპაშვილმა, სამშენებლო მექანიზაციის სამმართველოს მებულდოზერემ გ. შეპელმა, ზეინკალმა ი. ბაბიკინმა, მუშამ გ. გაფაროვლიმ და სხვებმა.

## ერთსულოვანი მოთხოვნა

სტალინირი. (საკ. კორ.). სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისა და სპეციალური საშუალო სასწავლებლების სტუდენტებმა, ქალაქის საწარმოთა ახალგაზრდა მუშებმა სურვილი გამოთქვეს დაეხმარონ ყამირი და ნასვენი მიწების მშრომელებს მოსავლის აღებაში. კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო, სტალინირის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში განუწყვეტლივ მოდიან ახალგაზრდები განცხადებებით.

სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები ა. ცოტნიაშვილი, ა. ბესთაევი, ქალაქის საშუალო სკოლის მოსწავლეები ე. ვალიევი და რ. ლოხოვი თავიანთ განცხადებებში კომკავშირის საქალაქო კომიტეტს თხოვენ გაგზავნონ ყამირი მიწების რაიონში მოსავლის აღების სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად. ზოგი მათგანი გასულ წელსაც იყო ყამირზე და მამაცური შრომით თავი ისახელა.

ყამირი მიწების რაიონში მოსავლის ასაღებად წასვლის სურვილი გამოთქვეს აგრეთვე ქსუისის მტს-ის მექანიზატორებმა ნ. მამიტოვმა და ყ. აბაევმა, ავტომძღოლმა ვ. ხადურმა. რამდენიმე დღის განმავლობაში შემოსულია 200-ზე მეტი განცხადება.

### „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

## „საზოგადოებრივი კვების რამდენიმე მოუწესრიგებელი საკითხი"

„კომუნისტში" ამ სათაურით დაიბეჭდა ინჟინერ-ტექნოლოგ ზ. ტურიაშვილის წერილი, რომელშიც დასმული იყო საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ მოუგვარებელი საჭირბოროტო საკითხები: საზოგადოებრივი კვების საწარმოებში სურსათ-სანოვაგისა და სასმელების ცენტრალიზებული, წრიული მზიდვის ფართოდ დანერგვა, სასაწყობო მეურნეობის მოწესრიგება, საზოგადოებრივი კვების ახალ საწარმოთა პროექტების შედგენასა და განხილვაში საზოგადოებრივი კვების მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მონაწილეობა და სხვ.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველომ განიხილა ეს წერილი. სამმართველოს უფროსი ამხ. ი. გეტაშვილი გვატყობინებს, რომ საზოგადოებრივი კვების საწარმოებში სურსათ-სანოვაგის ცენტრალიზებული წესით შეტანა ზრდის მიმწოდებლის პასუხისმგებლობას პროდუქციის ხარისხისათვის და აუმჯობესებს საზოგადოებრივი კვების ქსელის მომარაგებას. ჩვენში ზოგიერთი სურსათ-სანოვაგის მზიდვის ასეთი მეთოდის განხორციელება გასული წლიდან დაიწყეს, თუმცა ჯერჯერობით იგი ყველა პროდუქციაზე არ არის გავრცელებული სხვადასხვა ობიექტური პირობების გამო. ქალაქის საბჭოს აღმასკომის დადგენილებით შენდება ბოსტნეულსაცავი სათანადო ტექნიკური დანადგარებით, რაც უზრუნველყოფს ქალაქის საზოგადოებრივი კვების ქსელს ბოსტნეულით.

ვაჭრობის სამმართველომ განიხილა აგრეთვე საზოგადოებრივი კვების ქსელის გაფართოების საკითხი. წელს ქალაქში დამატებით გაიხსნება საზოგადოებრივი კვების 59 საწარმო, ხოლო ის ობიექტები, რომლებიც სანიტარულ-ტექნიკური თვალსაზრისით შეუფერებელია, ლიკვიდირებული იქნება. აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით ვაჭრობის სამმართველომ დასახა საჭირო ღონისძიებანი აგრეთვე რესტორან „თბილისის" და რესტორან „ფუნიკულორის" რეკონსტრუქციისათვის, კადრების მომზადებისათვის, ლაბორატორიის შექმნისა და ახალი სპეციალური ლიტერატურის გამოცემისათვის.

## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

სოფლკორი ონის რაიონიდან იტყობინებოდა სამთისის კოლმეურნეობის თავმჯდომარის კ. მურუსიძისა და მოანგარიშის ო. ჩლაიძის უპასუხისმგებლო მუშაობის შესახებ. წერილი ზომების მისაღებად პარტიის ონის რაიკომს გადაეგზავნა.

რაიკომის მდივანი ამხ. შ. რეხვიაშვილი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით ძირითადად დადასტურდა. სოფელ სამთისის კოლმეურნეობაში თანხებს ხარჯავდნენ საბანკო ოპერაციების გაუვლელად, კოლმეურნეობის წევრებს პროდუქტებს ნისიად აძლევდნენ, რითაც 2.850 მანეთის დებიტორული დავალიანება წარმოიშვა, პირუტყვისა და საშენი მასალების შესყიდვა სარევიზიო კომისიის გვერდის ავლით ხდებოდა. კოლმეურნეობის მოანგარიშე ო. ჩლაიძე სამსახურებრივ მოვალეობას უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა, მეტ დროს უსაქმოდ ატარებდა, ხშირად თვრებოდა.

რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი კოლმეურნეობაში მდგომარეობის გამოსასწორებლად. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კ. მურუსიძეს პარტიული სასჯელი დაედო, ხოლო მოანგარიშე ო. ჩლაიძე მოხსნილია სამუშაოდან.

# მეცხოველეობის კადრების სამჭედლო

### საუბარი საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის დირექტორთან ამხ. ვ. მამათელაშვილთან

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად, ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე საქართველოს სს რესპუბლიკაში მოპოვებულია უდიდესი მიღწევები სოციალისტური ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა ფართო ქსელი უმაღლესი სასწავლებლებისა, რომლებიც ამზადებენ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის.

მეცხოველეობის კადრებით რესპუბლიკის უზრუნველყოფისათვის 1932 წელს დაარსებულ იქნა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი, რომელმაც თავისი არსებობის მეოთხედი საუკუნის მანძილზე 3.300-ზე მეტი სპეციალისტი მისცა სამშობლოს.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი კეთილმოწყობილი, უახლესი ლაბორატორიულ-სასწავლო აპარატურით აღჭურვილი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც სტუდენტებს შექმნილი აქვთ ყველა პირობა მეცნიერების დაუფლებისათვის.

ინსტიტუტში არის ორი ფაკულტეტი — ზოოტექნიკური და ვეტერინარული, რომლებიც 27 კათედრას აერთიანებენ. უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა იქნა გაწეული სალექციო და ლაბორატორიულ-სასემინარო აუდიტორიების სათანადოდ მოწყობისათვის. აშენებულ იქნა 3.830 კვ. მეტრი ფართობის ახალი სასწავლო კორპუსი, რომელიც არქიტექტურულად ერთ-ერთი კარგად გაფორმებული შენობაა ქალაქში.

სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკისათვის ინსტიტუტს გარდაბნის რაიონში აქვს სასწავლო მეურნეობა, რომელსაც 1.600 ჰექტარი უჭირავს. სასწავლო მეურნეობა დღითიდღე კეთილმოწყობილი ხდება.

25 წლის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა პროფესორ-მასწავლებელთა კადრები. ამჟამად ინსტიტუტში 116 კაცი ეწევა პედაგოგიურ მუშაობას, ემსახურება ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეს. სპეციალურ კათედრებზე მომუშავე მასწავლებლების 90 პროცენტზე მეტს აქვს სამეცნიერო ხარისხი. აღსანიშნავია, რომ პროფესორ-მასწავლებელთა უმრავლესობა ჩვენს ინსტიტუტშია აღზრდილი.

ინსტიტუტის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ მოამზადოს მაღალკვალიფიციური, ფართო პროფილის სპეციალისტები, რომლებიც წარმატებით უხელმძღვანელებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. ამჟამად ინსტიტუტში ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული 1.000-ზე მეტი ახალგაზრდა ეუფლება მეცნიერებას.

ინსტიტუტის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ სტუდენტ ახალგაზრდობას შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას. მათთვის სისტემატურად ეწყობა ლექციები და სხვა ღონისძიებები. ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებენ სტუდენტთა სამეცნიერო წრეები, რომლებშიც გაერთიანებულია 300-მდე სტუდენტი.

სასწავლო მუშაობასთან ერთად ინსტიტუტის კათედრები ეწევიან დიდ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რომლის მიზანია პრაქტიკული დახმარება სოციალისტური მეცხოველეობისადმი. ინსტიტუტის კათედრებმა გამოსცეს ათობით სახელმძღვანელო და შრომა. ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს მეცხოველეობაში ქართულ ენაზე სპეციალური სახელმძღვანელო ლიტერატურის შექმნისათვის. ჩვენმა პედაგოგიურმა პერსონალმა გასული 25 წლის მანძილზე ქართულ ენაზე მოამზადა და გამოსცა 60-ზე მეტი დასახელების სახელმძღვანელო და დამხმარე წიგნი.

დიდი ყურადღება ექცევა მეცნიერების მიღწევების ფართო პოპულარიზაციას კოლმეურნეთა შორის. ამ მიზნით ჩვენმა მოწინავე პროფესორ-მასწავლებლებმა მარტო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჩაატარეს 300-ზე მეტი ლექცია, 650-მდე საუბარი და 1.900-ზე მეტი კონსულტაცია.

კოლმეურნე მეცხოველეთა კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის ინსტიტუტში ეწყობა მოკლევადიანი კურსები მეძროხეების, მეღორეების, მეცხვარეების, მეფრინველეებისა და სხვა პროფილის მუშაკებისათვის. ყოველწლიურად ასეთ კურსებზე 300-მდე პრაქტიკოსი მუშაკი ეცნობა მეცნიერების მიღწევებს. ამასთან ერთად ინსტიტუტთან მუშაობს ზოოტექნიკოსებისა და ვეტფერშლების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სამთვიანი მუდმივმოქმედი კურსები, სადაც ყოველწლიურად 30-40 კაცი იმაღლებს კვალიფიკაციას.

ინსტიტუტის მთელი კოლექტივი აქტიურად მონაწილეობს პარტიის მიერ მეცხოველეობის აღმავლობისათვის დასახული გრანდიოზული გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. უკანასკნელ წლებში ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკების მიერ დამთავრებული 170-ზე მეტი სამეცნიერო შრომიდან 70 უკვე დაინერგა წარმოებაში.

წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები პრაქტიკულად მონაწილეობენ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა დამუშავებისა და მათი პრაქტიკულად განხორციელების საქმეში. დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს ჩვენი სტუდენტები. გასულ წელს ზოოტექნიკური ფაკულტეტის 120-მა სტუდენტმა დახმარება გაუწია რესპუბლიკის 10 რაიონის 77 კოლმეურნეობას მეღორეობის განვითარების საქმეში. ჩვენი სტუდენტობა კოლმეურნეობებს ეხმარება ცხოველების სხვადასხვა დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტები მხურვალედ გამოეხმაურნენ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ყამირ მიწებზე მოსავლის აღებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ და 200-ზე მეტმა კაცმა სურვილი გამოთქვა გაემგზავროს მოსავლის ასაღებად.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს კომუნისტური პარტიის მიერ უმაღლესი სასწავლებლების წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, შეუნელებლად იბრძოლებს მეცხოველეობის მუშაკთა კადრების მომზადებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი პრაქტიკული დახმარების გაძლიერებისათვის.

# უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის სრულიად უნგრეთის კონფერენცია

მუშაობა დაამთავრა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის სრულიად უნგრეთის კონფერენციამ, რომელიც ბუდაპეშტში მიმდინარეობდა.

პარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება კონფერენციაზე გააკეთა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხანაგმა იანოშ კადარმა.

მოხსენების დასაწყისში ი. კადარმა ილაპარაკა პარტიის გმირულ წარსულზე და მისცა შეფასება მის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას პერიოდში 1949 წლიდან 1953 წლამდე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის მოღვაწეობას ამ პერიოდშიც ახასიათებს უწინარეს ყოვლისა დიდი დადებითი შედეგები, მაგრამ მასთან თავი იჩინა უარყოფითმა მოვლენებმაც.

1953 წლის ივნისში არა იმრე ნადმა და მისმა ჯგუფმა, არამედ ცენტრალურმა კომიტეტმა ამხილა ის შეცდომები, რომლებიც იყო პარტიის მუშაობაში. იმის ნაცვლად, რომ გამოესწორებინა შეცდომები, აღედგინა და აემაღლებინა პარტიისა და სახალხო ხელისუფლების ავტორიტეტი, იმრე ნადი, პირიქით, ცდილობდა შეესუსტებინა პარტია და სახალხო ხელისუფლება. მეორე მიზეზი, რომელიც ხელს უშლიდა სწორი ანალიზიდან გამომდინარე ამოცანების რეალიზაციას, იყო ის, რომ ზოგიერთი ამხანაგი მ. რაკოშის მეთაურობით სრულიად უუნარო აღმოჩნდა ან ვერ შეძლო დროზე და ჯეროვნად გაეწყვიტა კავშირი თავის ძველ შეცდომებთან.

...

...ეთრგუნათ კონტრრევოლუცია, აღედგინათ კონსტიტუციური წესრიგი უნგრეთში, მოეგერიებინათ იმპერიალისტების ჩარევა უნგრეთის საშინაო საქმეებში. პარტიულმა ხელმძღვანელობამ და მთავრობამ დახმარებისათვის მიმართეს უნგრეთის მუშათა კლასს, სოციალიზმის საქმისადმი ერთგულ უნგრელი მშრომელი ხალხის ძალებს, საბჭოთა კავშირს, სოციალისტურ ბანაკსა და მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს.

შემდეგ ამხ. კადარმა განაცხადა, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა — მუშათა და გლე-...

...ნებს მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს. მის წევრთა რაოდენობა არ იქნება ისე დიდი, როგორიც იყო უნგრეთის მშრომელთა პარტიაში. პარტია ნაკლები იქნება რიცხობრივად, მაგრამ თავისი კლასობრივი ხასიათით იგი უფრო ერთიანი გახდება.

ოქტომბრის ამბები, თქვა შემდეგ დ. მაროშანმა, პარტიის თვითეული წევრისაგან მოითხოვენ არა მარტო მაღალ სიფხიზლეს, არამედ აგრეთვე საბრძოლო აქტიურ საქმიანობას მტრის მხილებისათვის. პარტია, როგორც ეს აღნიშნულია წესდების პროექტში, მხოლოდ იმ...

...შემადგენლობაში წევრებად შევიდნენ ანტალ აპრო, ბელა ბისკუ, ლაიოშ ფეხერი, იენე ფოკი, იანოშ კადარი, დიულა კალაი, კაროი კიში, დიერდ მაროშანი, ფერენც მიუნიხი, შანდორ რონაი, მიკლოშ შომოდი და კანდიდატებად ზოლტან კომოჩინი და დეჟე ნემეში. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში არჩეული არიან: იანოშ კადარი (ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), იენე ფოკი, დიულა კალაი, კაროი კიში და დიერდ მაროშანი. ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია მიკლოშ შომოდი.

## საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობაზე

**ტულუზა, 30 ივნისი. (ტასი).** საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობის მუშაობა დასასრულს უახლოვდება. გუშინდელი ორი სხდომის განმავლობაში ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ უმრავლესობის წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობდნენ გაემართლებინათ ალჟირში წარმოებული პოლიტიკა, და დელეგატები, რომლებსაც ეს პოლიტიკა საშიშრად მიაჩნიათ და მოითხოვენ ალჟირის პრობლემის რაც შეიძლება სწრაფად მოწესრიგებას. ყრილობამ დიდი ყურადღებით მოისმინა ედუარდ დეპრეს სიტყვა. იგი არის ავტორი რეზოლუციის პროექტისა, რომელიც შეიცავს წინადადებას, რომ ალჟირის პრობლემა გადაიჭრას ალჟირის დამოუკიდებლობის ცნობის საფუძველზე. დეპრემ გადაჭრით უარყო პარტიული ხელმძღვანელობის მომხრეთა თეზისები, რომლებიც იმოწმებენ იმას, რომ ალჟირისათვის ეროვნულ უფლებათა მინიჭება იქნებოდა ალჟირის დაკარგვა. „ამ ეროვნულ უფლებათა აღიარება, — თქვა მან, — არ ნიშნავს ალჟირზე უარის თქმას“.

სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა გი მოლემ, რომელიც შეეხო საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრობლემებს. განიარაღების საკითხზე იგი მსჯელობდა ისე, როგორც დასავლეთის დიპლომატიის ჩვევაა. ორატორი ყოველნაირად ცდილობდა გაემართლებინა სუეცის ავანტიურა, აგრეთვე საფრანგეთის შეერთება „საერთო ბაზართან“ და ევრატომთან.

ალჟირის პრობლემის შესახებ გი მოლე ამტკიცებდა, თითქოს პოლიტიკა, რომელსაც მთავრობა ახორციელებს ალჟირში, „იძლევა დადებით შედეგებს“. მან გადაჭრით გაილაშქრა ალჟირისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების წინააღმდეგ.

ყრილობის მუშაობის დასკვნითი ნაწილი დაკავშირებულია დაძაბულ ბრძოლასთან ალჟირის საკითხზე რეზოლუციათა პროექტების გარშემო.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ყრილობას წარედგინა სამი პროექტი. არის ცდები დაუახლოონ ერთმანეთს ზოგიერთი პროექტი და შეიმუშაონ კომპრომისული გადაწყვეტილება. პარტიული ხელმძღვანელობა ცდილობს მიაღწიოს უმცირესობის წარმომადგენელთა გათიშვას და იზოლაციას, რომლებიც გმობენ ახლანდელ პოლიტიკას ალჟირში.

## ბელგრადში ჩავიდა ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტის დელეგაცია

**ბელგრადი, 1 ივლისი. (ტასი).** გუშინ ბელგრადში ჩამოვიდა ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ს. ა. კოვპაკი.

## „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოების აქტივისტთა დელეგაცია საქართველოში

...

## უნგრელი მსახიობები თბილისში



სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვევით ჩვენს ქვეყანაში საგასტროლოდ იმყოფება უნგრეთის ხალხური მუსიკალური ანსამბლი „ცისფერი დუნაი“, რომლის შემადგენლობაშიც 86 კაცია. ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელია შანდორ იაროკი.

ანსამბლმა კონცერტები გამართა მოსკოვში, ლენინგრადში, ერევანსა და ბაქოში. სტუმრები ბაქოში გამართული კონცერტების შემდეგ საგასტროლოდ ეწვივნენ თბილისს კონცერტების გასამართავად. გუშინ ნაშუადღევს თბილისის ვაგზლის პერონზე, თავი მოიყარეს ... ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რათა მიეგებებინათ ... ტარებელ ბაქო-თბილისზე დახვედროდნენ უნგრელ მსახიობებს. დამხდურებმა სტუმრებს ცოცხალი ყვავილების თაიგულები გადასცეს.

გუშინ საღამოს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში უნგრეთის ანსამბლმა დაიწყო კონცერტების გამართვა.

სურათზე: უნგრელი მსახიობები თბილისის ვაგზლის პერონზე.

## თურქეთის ფეხბურთელები საქართველოში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა თურქეთის კლუბის „გალატასარაის“ ფეხბურთელთა გუნდი. სტუმრებს აეროდრომზე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, სპორტსმენებს თაიგულები უძღვნეს.

თურქეთის გუნდის „გალატასარაისა“ და თბილისის „დინამოს“ საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს. ეს შეჯიბრება გაიმართება „დინამოს“ სტადიონზე 4 ივლისს.

* * *

საბჭოთა და თურქეთის სპორტსმენთა, კერძოდ, ფეხბურთელთა მეგობრულ ურთიერთობას დიდი ისტორია აქვს. 1924 წელს თურქეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდი, რომელიც ის იყო ჩამოყალიბდა, სტუმრად ეწვია სსრ კავშირს. აქ მან გამართა ოთხი მატჩი. აქედან მოიგო ორი და ამდენივე წააგო. აღსანიშნავია, რომ მაშინ თურქეთის ნაკრებ გუნდში „გალატასარაის“ კლუბის 9 ფეხბურთელი შედიოდა.

უკანასკნელ წლებში თურქეთისა და საბჭოთა ფეხბურთელები არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს. ამ მატჩების რიცხვი შეადგენს 43-ს. აქედან ჩვენმა ფეხბურთელებმა მოიგეს 28, ფრედ დაამთავრეს 9 და წააგეს 6 მატჩი. ბურთების საერთო შეფარდება 117:59 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ. შარშან საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფებოდა „ფენერბახჩეს“ გუნდი. თურქმა ფეხბურთელებმა წააგეს მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელებთან 1:3 და მოიგეს მატჩი ლენინგრადის „ზენიტთან“ 2:1.

თურქეთის კლუბი „გალატასარაი“ ჩამოყალიბდა 1905 წელს. ეს გუნდი სტამბოლის ჩემპიონატში მონაწილეობას იღებდა 42-ჯერ, აქედან ჩემპიონი იყო 12-ჯერ, ხოლო 7-ჯერ მეორე ადგილი დაიკავა.

1957 წლის პირველობის გათამაშების უკანასკნელ ეტაპამდე ლიდერები იყვნენ „გალატასარაისა“ და „ფენერბახჩეს“ გუნდები (29-27 ქულა). გადამწყვეტ შეჯიბრებაში გამარჯვა „ფენერბახჩემ“ 3:0 და ბურთების შეფარდებით ჩემპიონი გახდა.

„გალატასარაის“ გუნდი წარმატებით გამოდის აგრეთვე საერთაშორისო შეხვედრებში. უკანასკნელ მატჩში მან დაამარცხა ავსტრიის გუნდი „აუსტრია“ ანგარიშით 3:0.

თურქეთის „გალატასარაისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩს სჯის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ა. დუში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

## საერთაშორისო შეხვედრა

**მოსკოვი. 2 ივლისი.** დედაქალაქში სტუმრად იმყოფება იტალიის ცნობილი კლუბის „ფლორენტინას“ ფეხბურთელთა გუნდი. დღეს მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო მატჩი იტალიის „ფლორენტინასა“ და მოსკოვის „დინამოს“ გუნდებს შორის. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 1:1.

## „საქართველოს კომუნისტი“ № 6

გამოვიდა და ხელისმომწერლებს დაურიგდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 6.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: მოწინავე — მაღლა ავწიოთ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დროშა.

**სტატიები** — შ. ცაგარეიშვილი — კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალაა კომუნიზმისათვის ბრძოლაში; ე. ბურჯანაძე — ჩვენი პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელების ისტორიული მნიშვნელობა; ა. გუნია — ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადისათვის მზადება დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა; ი. ხოხლოვი, გ. ბადრიშვილი, ნ. გოცირიძე — მაღალ დონეზე ავიყვანოთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სოფლის მეურნეობის დარგში. ვ. მელაძე — შრომის მიხედვით განაწილება სოციალიზმის ეკონომიური კანონია.

**პარტიული ცხოვრების** განყოფილებაში დაბეჭდილია: შ. ცომაია — გავაუმჯობესოთ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა; ე. ქვათაძე, გ. ოქრუაშვილი — ავამაღლოთ ორგანიზატორული მუშაობა სოფლად; მ. სი...რულიძე — წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის შესახებ; დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის (ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების თემატიკა).

განყოფილებაში **პასუხი შეკითხვებზე** დაბეჭდილია: ბრიგადებისა და ფერმის პარტიული ორგანიზაციები; სასკოლო პარტიული ორგანიზაციის უფლება-მოვალეობათა შესახებ.

**კრიტიკა და ბიბლიოგრაფიის** განყოფილებაში დაბეჭდილია: ლ. გორგილაძე — საქართველოში მარქსიზმის ისტორიის შესწავლისათვის; პ. გარუჩავა — სახელმძღვანელო მრეწველობის ეკონომიკაში.

ჟურნალში დაბეჭდილია აგრეთვე პარტიული ქრონიკა.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

## ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის ცნობა

**ხანოი, 1 ივლისი. (ტასი).** დღეს გაზეთები აქვეყნებენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ უახლოეს დღეებში პრეზიდენტი ხო ში მინი ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრება მთელ რიგ მოძმე ქვეყნებში ამ სახელმწიფოთა მეთაურების მიწვევით.

პრეზიდენტი ხო ში მინი ეწვევა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკას, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას.


...

დაწყება 6 ს. 15 წ.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება 3 ივლისს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.


რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის—3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი—3-72-80, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების—3-73-24, განცხადებების მიღების—3-64-42, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 01967 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.